თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამები კარგად წარმოაჩენს იმ დარგობრივ მრავალფეროვნებას, რაც უნივერსიტეტის ამ უძველესი ფაკულტეტის სასწავლო თუ კვლევითი პროცესის არსებითი მახასიათებელია.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ მისიას, თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებსა და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და ჰუმანიტარული დარგების კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; თანამედროვე დარგობრივი ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ – ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.